თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 7

ქ.თელავი 30. 04. 2018წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, არჩილ თვალიაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.
აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის №34 დადგენილებაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი დასკვნის განხილვის შესახებ.
მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის №34 დადგენილებაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი დასკვნის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ საქართველოს მთვარობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივ დასკვნაში გამოთქმული შენიშვნა მისაღებია, ვინაიდან თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის #34 დადგენილება უნდა შეესაბამებოდეს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 46-ე მუხლის მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს მასთან.

მედეა ჩაფურიშვილმა აღნიშნა რომ განსახორციელებელია ცვლილება მოცემულ დადგენილებაში, კერძოდ სასურველია თელავის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს რეკომენდაცია განახორციელოს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდერობის დაცვის, სარეკრიაციო და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის მიზნით, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ზონებში, სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისათვის, ჯარიმის ოდენობა განისაზღვროს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თელავის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი სამსახურის მიერ შემოწმების აქტის შედგენის დღისთვის არსებული სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული ასაშენებელი (სადემონტაჟო) შენობა-ნაგებობების საერთო ფართის თითოეულ კვადრატულ მეტრზე 0,2 ლარის ოდენობით.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღნიშნული დადგენილების სრულად ასამოქმედებლად თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყოს მუშაობა მითითებული სპეციალური ზონების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს: გაეგზავნოს თელავის მუნიციპალიტეტის მერს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის რეკომენდაცია ზემოაღნიშნული ფორმულირებით წარმოადგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის №34 დადგენილების ცვლილების პროექტი.

კომისიის თავმჯდომარე: ნანა ხვისტანი